№ 230
შაბათი, 21 ოქტომბერი, 1900 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მ.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	6	25	2	2	75
7	7	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

ივერია

№ 230
შაბათი, 21 ოქტომბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 24 ოქტომბერს.

ნინო გრიგოლის ასული, ბარბარე გიორგის ასული, ზაქარია მიხეილის ძე, სონა, ლუბა და ვარო მიხეილის ასულნი კანდელაკნი, ევა მიხეილის ასული და დიმიტრი ზურაბის ძე ტატიშვილნი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა ქ. ყაზანში პირველი—საყვარელის შვილის, უკანასკნელი—ცოლის ძმის, ხოლო დანარჩენნი ძმის ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტის

კონსტანტინე (კოტე) მიხეილის ძის კანდელაკისას,

სთხოვენ მობრძანდნენ კვირას, 22 ოქტომბერს, დილით, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც წირვა და პანაშვიდი იქმნება გარდახდილი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (ნ)

ბარბარე გიორგის ასული ციციაძისა, მართა გიორგის ასული ნადირაშვილი და ნინო ზაქარიას ასული დეკანოზიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი დაუვიწყარის მამიდისას, მეორე—დეიდისას

სოფიო სოლომონის ასულის ქანდარელისას

და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის განსვენებაზედ დასასწრებლად კუკიის ნინო-წმ ნდის სასაფლაოს ეკკლესიაში 22 ამ თვისას, დილის 9 საათზედ.

პანაშვიდი გარდახდილი იქნება 21, საღამოს 7 საათზედ, კვირაცხოვლის ქუჩა, № 30. (1—212—1)

ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

მოწვეულია ახალი მკერვალი ქალი, ვენის სამკერვალო აკადემიის დიპლომით.

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ.

ქართული კაბებისათვის ცალკე მოწვეული მცოდნე მკერვალი ქალი.

ს. სალარიძე ასწავლის
ფრანგულ, იტალიანურ, გერმანულ და ინგლისურ ენებს.
ღარიბ მსურველთ აძლევს გაკვეთილებს 4—5 დე უსასყიდლოდ.
კავკავაძის ქ. № 24. (7—205—6)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკოვიჩი, სადოსტაქრო.—$12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1\frac{1}{2}$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.
დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. თ. პროტასევიჩი—5—6 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Вороцову.

ექიმი
ნიკო ერისთავი,
ველიამინოვის ქუჩა № 34, ქ. ტფილისში იღებს **ნერვებისა და შინაგან** სნეულებით **ავადმყოფთ** (გულის, ფილტვების, სტომაქის სატკივარნი) დილის 9—11 სათ., საღამოს 5—8 საათამ. აგრეთვე ავადმყოფ ბავშვებს. (3—210—2)

საჭიროა
12—13 წლის მოსამსახურე ბიჭი.
იკითხონ „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქ. № 21.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 20 ოქტომბერს, მისის უდიდებულესობის სრულიად რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძის III გარდაცვალების დღეს, ტფილისის სიონის საკრებულო ტაძარში ყოვლად-უსამღვდელოესის გორის ეპისკოპოსის კირიონისაგან ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით გარდახდილ იქმნა განსვენებულის იმპერატორის სულის მოსახსენებლად წირვა დაშემდეგ პანაშვიდი.

⁂ ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიისათვის ახალის საკუთარ შე-

ფელეტონი

ჰეინედგან.

ახ! ისევ ის თვალებია,
ნაზად რომ მიღიმღებოდნენ,
და ისევ ის ტუჩებია,
ალტაცებით რომ მკოცნიდნენ!
ეს ხმაც ისევ ნარნარია,
გულწარმტაცი, მომხიბლავი;
მხოლოდ მარტო მე შევცვლილვარ:
ის აღარ ვარ, რაც ვიყავი,
ეხლაც კვალად მეხვევიან
მის მკლავები მადლიანი,
მე კი მის მკერდს დავყრდნობივარ
უგრძნობი და სევდიანი.

ი. ბაქრაძე

◆◆

უცხოთა შორის

ინგლისურ გაზეთების სამხედრო კორესპონდენტნი.—ოქროს სამეფო—კლონდაიკი.—ერთის გაზეთის აზრი ამერიკელ და ინგლისელ ქალთა შესახებ.—ჩინური გაზეთები და ჩინელთა გამარჯვებანი.—უცნაური საზოგადოებანი ჩინეთში.—მთხოვართა საზოგადოება.

„პესიმისტები ამბობენ, რომ ცხოვრება ერთფეროვანი გახდა, ცხოვრებაში რომანტიული აღარაფერიაო. პესსიმისტები, როდესაც ამას ამბობენ, ივიწყებენ სამხედრო კორესპონდენტებს“. ასე იწყობს ავტორი ერთ გაზეთში თავისს წერილს ინგლისურ გაზეთების სამხედრო კორესპონდენტთა შესახებ. მართლაც სამხედრო კორესპონდენტები შესანიშნავი ხალხია. ამ კორესპონდენტების ცხოვრება კაცს მაინ-რიდის, გუსტავ-ემარის და ჟიულ-ვერნის რომანებ-ს გმირთა ცხოვრებას მოგაგონებს. დიდის გაზეთის კორესპონდეტი ინგლისში ყოველ ჟამს მზად უნდა იყოს, რომ დაუბრკოლებლად მატარებელში ან გემში ჩაჯდეს და იქითკენ გაუდგეს გზას, სადაც უფრო სცემს კაცობრიობის ძარღვი. ინგლისელ კორესპონდენტს ყოველთვის ორი ჩამოდანი აქვს მზად, ერთს „ცხელი“ ჰქვიან, მეორეს—„ცივი“. თუ მოულოდნელად ცივი ქვეყნისაკენ მოუნდა წასვლა, გემსა ან მატარებელში ჩაჯდება და დეპეშით აცნობებს, „ცივი“ ჩამოდანი გამომიგზავნეთო, თუ ცხელ ქვეყნისაკენ—„ცხელი“ ჩამოდანიო.

იმ დღეს, როდესაც ინგლისსა და ტრანსვაალს შორის ომი იქმნა გამოცხადებული, „Daily News“-ის რედაქციაში ამ გაზეთის სამხედრო კორესპონდენტი პირსი შევიდა.

— ეს არის ეხლა შევიტყე, რომ ომი იწყობა სამხრეთ-აფრიკაში, უნდა დაუყოვნებლივ წავიდეთ იქ.—რედაქციაში შესვლისათანავე მიჰმართა რედაქტორმა.

პირსმა საათს დაჰხედა.

— გემი რამდენსამე საათს შემდეგ გადის, მაშასადამე მატარებლით მიუსწრობ.—სთქვა ეს პირსმა, თავი დაუკრა რედაქტორს და სადგურს მიაშურა.

მეორე კორესპონდენტი, გვინნი, ტრანსვაალიდგან ინგლისში არც-კი დაბრუნებულა და პირდაპირ ჩინეთში წასულა. სამხედრო კორესპონდენტებს ათასი განსაცდელი და წვალება მოელის ხოლმე. კორესპონდენტმა ყველაფერი უნდა გაიგოს, იგი იქ უნდა იყოს, სადაც ცხარე ბრძოლა და შეტაკებაა. ამიტომ ბევრი მათგანი იღუპება კიდეც. სხვათა შორის, ინგლის-ტრანსვაალის ომმაც რამდენიმე კორესპონდენტი იმსხვერპლა: ერთი ლედი-სმიტში მოჰკლეს, მეორეს კიდევ მტრის ყუმბარამ ხელი მოაგლიჯა. ძალიან ისახელა თავი ვინსტონ ჩერჩილმა, ახალგაზდა 25 წლის კაცმა. ჩერჩილის თავგადასავალი საარაკო ამბად გადაიქცა. ერთხელ ეს კორესპონდენტი ტყვედაც-კი ჩაუვარდა ბურებს, მაგრამ ჩერჩილმა მანამდე არ მოისვენა, ვიდრე ტყვეობიდგან არ გაიპარა.

რასაკვირველია ასეთ კორესპონდენტებს ჯამაგირი დიდი აქვთ: მშვიდობიანობის დროს სამხედრო-კორესპონდენტს 10,000 მანეთი ეძლევა, ომის დროს-კი 20,000 მანეთი ყოველგვარ ხარჯს გარდა.

ინგლისელი კორესპონდენტი არავითარ განსაცდელს არ ერიდება, პირ იქით თვით დაეძებს განსაცდელს და ძალიანა სწუხს, თუ გულ ხელ დაკრეფილი დიდ ხანს მოუხდა ჯდომა. ამ შემთხვევაში ინგლისელებს ვერც ერთი სხვა ხალხი ვერ შეეჯიბრება. ასევე თავ გამოდებულნი არიან ინგლისელნი მოგზაურნიც. აფრიკისა და ამერიკის უდაბური ადგილები, აზიის მიუდგომელი მთები, დიდ ოკეანეში გაფანტული კუნძულები უმთავრესად ინგლისელებმა მოვლეს. ინგლისელი ფულსა და ჯანს არა ჰზოგავს, ოღონდ-კი ისეთ ადგილას გაიაროს, სადაც კაცის ფეხი არ დადგმულა.

⁂

სხვათა შორის ერთი ასეთი მოუსვენარი მოგზაური, ვინმე გეილნრიკი, ამას წინად თვით-მოსიარულე ეტლით კლონდაიკშიაცკი ყოფილა. როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, კლონდაიკი, ეს ოქროს სამეფო, ჩრდილოეთ-ამერიკაშია, მეტად მიუდგომელ და მიყრუებულ ადგილას. ეს ორი-სამი წელიწადია აუარებელი ხალხი მიეშურება იქითკენ ოქროს საძებნელად. ზემოხსენებული მოგზაური დაწვრილებით აღგვიწერს ოქროს მაძიებელთა ცხოვრებას. იმის სიტყვით, ძნელი მგზავრობა-კი არა, დაუსონ სიტში (ერთად-ერთი ქალაქია კლონდაიკში) ცხოვრებაა. ყველაფერი მამა-სისხლად იყიდება თურმე იქ. როგორც ყველგან, კლონდაიკში ავ აც

ნობის საძირკვლის ჩაყრისა გამო მათი იმპერატორებით უმაღლესობასთან დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოოზის ძესთან გაგზავნილ დეპეშის პასუხად მათმა უმაღლესობამ შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა:

„დედათა მეორე გიმნაზიისათვის ახალი საკუთარ შენობის საძირკვლის ჩაყრა გულწრფელად მიხარის ყველას თქვენგანს ვულოცავ და გმადლობთ შეტყობინებისათვის. სასურველია ვიცოდე, რა თანხით შენდება იგი?

მიხეილი".

⁂ ქ. სოხუმიდგან გვატყობინებენ, რომ სოხუმის ქალაქის მოურავმა ბერენსმა 16 ოქტომბერს საბჭოს გამოუცხადა, რომ ჩემი უძრავი ქონება სოხუმში გავყიდე და ცენზი დავკარგე; ამისათვის გთხოვთ მოურავის თანამდებობიდგან განმათავისუფლოთო. საბჭომ ამ თხოვნის მიღება შეუძლებლად სცნო, რადგანაც ბ-ნი ბერენსი მის მიერ არჩეული არ არის.

⁂ ქართული დრამატიული დასი შემდეგ წარმოსადგენად ამზადებს ახალს ისტორიულს 5 მოქმედებიანს დრამას, დაწერილს ბ-ნ ნახუცრიშვილის მიერ. დრამატიულ საზოგადოების კომიტეტმა, როგორც ვიცით, ეს დრამა პრემიის ღირსად სცნო და დაუნიშნა 100 მან. შინაარსი დრამისა ჩვენის წარსულის ცხოვრებიდგანაა აღებული.

⁂ მსახიობი-ქალი ეფემია მესხი დრამატიულ საზოგადოების გამგეობისაგან წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია 26 მომავალ ნოემბრის თვიდგან.

⁂ ტფილისის საგუბერნიო მკურნალი ბ-ნი ქიქოძე საზღვარ-გარეთიდგან უკვე დაბრუნდა და თავისს თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

⁂ დაბახანის პატარა მდინარეზედ ხიდსა სდებენ, ასე რომ ამიერიდგან საბატანიკო ბაღის ზოგიერთ ახალს ნაწილში შეიძლება პირდაპირ ეტლით გავიდნენ მსურველნი.

⁂ მინისტრთა კომიტეტის დებულებისა თანახმად, უმაღლესად ნებადართულია სიღნაღის მაზრის „ქათმად" წოდებული საძოვარი ადგილები საძოვრებიდგან გამოირიცხოს, როგორც ამ წინაზედა ვწერდით, და კერძო კაცებს მიეცეთ ნავთის საძიებლადა და საწარმოებლად. ამასთანავე ერთად მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება ეძლევა, კავკასიის მთავარ მართებელთან შეთანხმებით, კავკასიის სხვა ადგილებშიაც ნება დაჰრთოს ხოლმე სახელმწიფო მამულებში ნავთი ეძიონ.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას გამოუცია წიგნაკი: „მასალები წარსულ 1899 წლ. მოსავლის შესახებ" ბ ნის ზავაროვისა, რომელშიაც დიდად საყურადღებო ცნობები თურმე მოთავსებული კავკასიის შესახებ.

⁂ გუშინ-წინ შეცდომით გვქონდა მოხსენებული, რომ ქართული სახალხო წარმოდგენა 29 იქნებაო. 29-ში, როგორც გაზ. „ცნობის ფურც." იუწყება, კონცერტი იქმნება გამართული, წარმოდგენა-კი ხვალ, 22 ოქტომბერს იქნება. მეორედ წარმოადგენენ „პარიჟელ ღატაკებს".

⁂ ოთხშაბათს, 18 ოქტომბერს, შეუდგნენ სამკურნალო გამგეობის რევიზიას. რევიზია მინდობილი აქვს კავკასიის მთავარ მართებლის საბჭოს წევრის კესტერის ხელმძღვანელობით მკურნალს ბ. იულსკას.

⁂ როგორც ადგილობრივ რუსულ გაზეთებს ატყობინებენ, მარტყოფის სოფლის საზოგადოების თხოვნით გუბერნიის ადმინისტრაციას ნება დაურთავს დააარსოს ს. მარტყოფში სასოფლო-სამკურნალო ქსენონი. ყოველი ხარჯი ქსენონის შენახვად თვით საზოგადოებას უკისრნია.

⁂ მთავრობას უკვე გარდაუწყვეტია დააარსოს ხარფუხში საეკლესიო სამასწავლებლო ინსტიტუტი.

⁂ ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს, დაიწყო ქართულის წარმოდგენის სეზონი. დრამატიულმა დასმა ამ დღეს გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან" წარმოადგინა. საზოგადოება ბლომად დაესწრო წარმოდგენას. დაწვრილებით ანგარიშს ამ წარმოდგენის შესახებ შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

⁂ ხვალ, 22 ოქტომბერს, ქვაშვეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლის დარბაზში, დილის 12 საათზედ, განზრახულ მშობელთა ურთიერთთა შემწე საზოგადოების" წესდების პროექტს წაიკითხავენ. მსურველთ შეუძლიანთ დაესწრნენ.

⁂ ქუთაისიდგან შემდეგს ამბავს აუწყებენ გაზ; „ახ. მიმ'-ას: „ამ წინაზედ ქუთაისის მახლობლად მდებარე სოფლიდგან ერთს გლეხს მცირე წლოვანი შვილი დაეკარგა. ხალხში ხმა დადიოდა, ვითომ ბავშვი კულაშელმა ებრაელებმა მოიტაცეს. რომ მოეკლათ იგი და სისხლი საუკეთესო თვისების ღვინის დასაყენებლად ეხმარათო. ამ შეუსაბამო მოსაზრებამ სოფლელები დიდად თურმე აღელვა და მთელი ბრბო სოფ. კულაშისაკენ გაემართა, სადაც ამ დროს ებრაელები მართლა ბავშვს თურმე ასაფლავებდნენ. ბრბომ ებრაელებს მიცვალებულ ბავშვის ჩვენება თურმე მოსთხოვა და მხოლოდ მაშინ-ღა დამშვიდნენ, როცა ნახეს და დარწმუნდნენ, რომ მიცვალებული ბავშვი მართლა ებრაელი იყო. პოლიციის მეცადინეობით ბავშვი მალე იპოვნეს უვნებლადო".

⁂ ს. შინდისი, (გორის მაზრა). 15 ოქტომბერს, კვირა ღამეს, ბოროტმოქმედთ ახლად დაარსებულ „შინდისის მომხმარებელ საზოგადოების" სავაჭრო მაღაზია გასტეხეს და ოცი თუმნის ღირებული საქონელი გაიტანეს. ქურდები ჯერ არ აღმოუჩენიათ. ადგილობრივის პოლიციის მიერ ყოველი ღონისძიება მიღებული, რომ ბოროტმოქმედნი აღმოაჩინონ.

⁂ ს. მარტყოფი, (ტფილისის მაზრა). ამ დღეებში სეტყვამ ძლიერ დაზარალა ვენახები. დაგვიანებულ რთველის მიუხედავად, ყურძენი ძალიან ცოტა მოიკრიფა, და იმასაც რაღაც ძმრის გემო აქვს. წინადაც იყო აქ მოუსავალი წლები, მაგრამ ასეთი მოუსავლობა არავის ახსოვს. აქ აპირებენ პატარა წიგნთ-საცავის დაარსებას. ამ აზრით გამართეს აქ მოყვარულებმა წარმოდგენები, რომელთაგან 45 მან. გადასდეს მომავალ წიგნთ-საცავისათვის. წიგნთ საცავს უკვე 50 წევრი ჰყავს, რომელთაც შემოაქვთ წელიწადში ორ-ორი მანეთი. შეკრებილის ფულით იყიდეს ქართული და რუსული წიგნები.

განთიადს, 11 ოქტომბერს, მარტყოფის მწყემსებს ჩხუბი მოუხდათ თათრებთან, რომელთაც 229 სული პირუტყვი მოსტაცეს მარტყოფელებს. თათრები იყვნენ 40 და მწყემსები-კი 15, რომელთაგან მხოლოდ ოთხსა ჰქონდა თოფები.

⁂ ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს, პოლიციის მეორე ნაწილში გალავინის პროსპექტზედ, მანთაშევის სახლებში მუშაობის დროს დილის $8^{1}/_{2}$ საათზედ გადმოვარდა უცაბედად ერთი საჟენის სიმაღლე კიბიდგან ქუთაისის გუბერნიის, რაჭის მაზრის სოფელ გორის მცხოვრები სერგო სპირიდონის ძე მემანიშვილი, რომელმაც ცალი ხელი დაიშავა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს შემწეობის აღმოსაჩენად.

† სტუდენტი კონსტანტინე მიხეილის ძე კანდელაკი

ქ. ყაზანიდგან შემდეგი სამწუხარო ამბავი მოგვივიდა. 17 ოქტომბერს გარდაიცვალა ყაზანის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-III კურსის მოწაფე კონსტანტინე მიხეილის ძე კანდელაკი. განსვენებულს როგორც სტუდენტს და საუკეთესო ამხანაგს სტუდენტების წრეში (იგი ჯერ ტომსკში იყო და შემდეგ ყაზანში გადავიდა), თუ გიმნაზიელ (ტფილისის მეორე გიმნაზიაში სწავლობდა) ამხანაგთა შორის, რომელნიც შემდეგ დაჰშორდნენ მას და რუსეთის სხვა-და სხვა უნივერსიტეტებში გაიფანტნენ, ყველგან და ყველასთან ერთობ დიდი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. მუდამ კეთილი, მოსიყვარულე, ერთგული და გულწრფელი კოტე ყველა ამხანაგის გულში ძმურს სიყვარულსა ჰპოვებდა. ამ ძვირფას ხასიათთან მას ერთი საუკეთესო თვისება კიდევ ისა ჰქონდა, რომ შრომა უყვარდა და ხასიათიც შესწევდა ამისათვის. განსვენებულს გიმნაზიაში ყოფნის დროს რაღაც დამაბრკოლებელი მიზეზი აუჩნდა და არ დაუსრულებია, ისე გამოვიდა. სხვა რომ ყოფილიყო, სულით დაეცემოდა და საქმის გამოკეთებას ვეღარ მოახერხებდა, მაგრამ კოტე ამას არ შეუშინდა; თავისით დაიწყო მეცადინეობა და ექსტერნად დაიჭირა გიმნაზიაშივე ეკზამენი, მიიღო კურსის დამთავრების მოწმობა და ტომსკში წავიდა. ტომსკიდგან ორის წლის წინად ყაზანში გადმოვიდა. აქ იგი ერთგულად შეუდგა მეცადინეობას, კიდეც დაიმსახურა ყველა პროფესსორების ყურადღება და შარშან გისტოლოგიაში ერთი ახალი აღმოჩენაცა ჰხვდა წილად. აი, სწორედ ეს თვისება უფრო საყვარლადა და ძვირფას ამხანაგადა ჰხადდა კოტეს. ადგილობრივ უცხოერის სტუდენტთა შორისაც ეგრეთივე საყვარელი კოტე იყო იგი, როგორც ქართველებში. განსვენებული ამ წელსაც ჩვეულებრივად სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ჩამოვიდა, ხარბად დაეწაფა დაწყე-

---

ქრები უფრო მდიდრდებიან, ვიდრე ოქროს მაძიებელნი. 12 კვერცხი იქ 5 მანეთადა ფასობს, ერთი კიტრი—10 მანეთად, საზამთრო—25 მანეთად. ვაჭრებს პირი აქვთ შეკრული. რაც უნდა ბევრი საქონელი ჰქონდეთ, ფასს არ უკლებენ, პირ-იქით უმატებენ კიდეც.

ათასნაირის ხალხითაა დასახლებული ეს ახალი ელდორადო; ყველა ერის წარმომადგენელს შეჰხვდება თურმე კაცი იქა. არიან ინგლისელნი, ესპანიელები, ფრანგები, ნემცები, ზანგები, ებრაელები, ჩინელები და სხვანი. მიუხედავად ამისა, ეს სხვა-და-სხვა ჯურის ხალხი თანდათან ეჩვევიან ერთმანეთს და საზოგადოებრივ ცხოვრებასაც-კი იწყობენ. დაუსონ სიტიში უკვე არსებობს კლუბი და თეატრი, სადაც სცენის-მოყვარენი ჰმართავენ წარმოდგენას. წელს იქ საკუთარ გაზეთის გამოცემასაც-კი შეუდგნენ თურმე.

ამ გაზეთს სახელად „Dawson Daily News"-ი ჰქვიან. შინაარსით გაზეთი, რასაკვირველია, ღარიბია; სხვა ქვეყნის ამბებს რამდენისამე თვის შემდეგ იტყობენ ხოლმე, მაგრამ ამისდა მიუხედავად დაუსონელებს თავიანთი გაზეთი ძალიან უყვართ. ესეც-კია, რომ დაუსონელებს ადგილობრივი ამბები უფრო აინტერესებთ, ვიდრე ინგლის-ტრანსვაალის ომი და ჩინეთის არეულობანი, უფრო მეტის სიამოვნებით კითხულობენ, მაგალითად, ამ გვარ ამბებს „შიმშილისა ნუღარ ეშინიანთ დაუსონელებს: კანადიდგან 10,000 ტონი სურსათი გამოგზავნესო". მოწინავე წერილებში ადგილობრივი პუბლიცისტები პრაქტიკულ საგნებს ეხებიან: სახლების აგებას, სურსათის გამოწერასა და სხვას. თუ ახალი ვინმე მივიდა დაუსონ-სიტიში, გაზეთს მთელი ერთი კვირის მასალა ეძლევა. გეილნრიკთან სამი დღე დადიოდნენ თურმე გაზეთების კორესპონდენტები, ჰკითხავდნენ ამერიკისა და ევროპის ამბებს, შემდეგ ამ ამბებით გაზეთის ფურცლებს ავსებდნენ.

„Dawson Daily News"-ი უძვირფასესი გაზეთია მთელ დედა-მიწის ზურგზედ. თითო ნომერი დაახლოვებით 60 კაპეიკად იყიდება. მთელის წლით 70 მანეთ ნაკლებ არ შეიძლება ამ გაზეთის დაკვეთა.

ამ ბოლო დროს კლონდაიკს ქალებიც ძლიერ ეტანებიან. უეცრად გამდიდრების სურვილმა მამაკაცებთან ერთად, დედაკაცებიც გაიტაცა. მანდილოსანნი არ უშინდებიან არც დიდ გზას და არც ათას გაჭირვებას: შიმშილს, სიცივეს და სხვას და თამამად მიდიან თურმე კლონდაიკისაკენ. ასეთი მაგალითები ერთხელ კიდევ უმტკიცებენ მამაკაცებს, რომ „სუსტ არსებათ" იმათზედ ნაკლებ არ შეუძლიანთ ყოველგვარ გაჭირვების ატანა.

⁂

ამ ტემაზედ საყურადღებო წერილები დაუბეჭდიათ ქალებსავე ერთ ინგლისურ გაზეთში. ავტორები ინგლისელ და ამერიკელ ქალთა ეკონომიურ მდგომარეობას ეხებიან და ამბობენ, რომ ქალებმა უკვე შესდგეს ფეხი ვაჭრობასა, მრეწველობასა, ჟურნალისტიკასა, ერთის სიტყვით, ყოველგვარ საქმეში და მამაკაცები ამიერიდგან ვეღარ შესძლებენ იმათ განდევნასა და უწინდელებრ გაბატონებასაო. მათი სიტყვით, ამერიკასა და ინგლისში ქალმა იმდენად საპატიო ადგილი მოიპოვა შრომის მოედანზედ, რომ მამაკაცებმა მათთან მეტოქეობასაც-კი თავი მიანებეს.

ერთ წერილში კერძოდ იმ ქალებზედაა ლაპარაკი, რომელთაც სამოქმედო ასპარეზად ჟურნალისტიკა აირჩიეს. ავტორის სიტყვით, ქალებმა ყველაზედ ადრე ამ საქმეს მიჰყვეს ხელი და დღეს ისეთი გაზეთი არ არის, რომლის რედაქციაში რამდენიმე ქალი არ მსახურებდეს. სამწუხაროდ, დღემდე ჟურნალისტიკაში თვალსაჩინო ადგილი ორიოდე ქალს უჭირავს, უმრავლესობა-კი წვრილ საქმეს ასრულებსო, განაგრძობს შემდეგ ავტორი. ამის მიზეზად მოუმზადებლობას ასახელებს. ქალები საოცრად ეტანებიან მწერლობას, მათ თითქმის მამაკაცებზედ ძალიან უყვართ ეს საქმე, მაგრამ მომზადებით არც ერთი არ ემზადება. ბევრი ასეთ მომზადებას საჭიროდ არც-კი სცნობს. საქმის სიყვარულთან ერთად ქალებს შესაფერი მომზადებაც რომ ჰქონდეთ, ჟურნალისტიკაში თვალ-საჩინო და საპატიო ადგილს დაიჭერდნენო, ამბობს დასასრულ გაზეთი.

საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს გაზეთი ამერიკელ ქალთა შესახებ. არიან ამერიკაში ქალები, რომელნიც ლაპარაკით ბევრს ლაპარაკობენ, საქმით კი არაფერს აკეთებენ. უფლებათა გათანასწორება, ქალთა მონობისაგან განთავისუფლება, ამომრჩევლების უფლების გაფართოება,—აი მუდამ ჟამს რა გესმით ამ ქალებისაგან. სარგებლობა ქალთა ემანსიპაციისათვის ამ სიტყვით თავ-გამოდებულ, უმეტეს ნაწილად მშვენიერ, კოხტა და კოპწია მანდილოსანთ არაფერი მოუტანიათ. სულ სხვა ნაირად იქცეოდნენ და იქცევიან მშვენიერ სქესის ის წარმომადგენელნი, რომელთაც ნამდვილად გაუკაფეს გზა ქალთა საქმეს: ჩუმად, ულაპარაკებლივ ებრძოდნენ ცხოვრების ტალღებს და ძალით იძენდნენ იმას, რასაც ნებით არ უთმობდნენ. ასეთი ქალი არა ჰქადაგებდა, არ იძახდა: ესა და ეს მომანიჭეთ, ამა და ამ საქმეში ჩამაყენეთო; ჯერ სწავლობდა თვით საქმეს, შემდეგ სწავლითა და ცოდნით აღჭურვილი მხარში უდგებოდა მამაკაცს და ყველას აშკარად უმტკიცებდა უნარს საქმის გაკეთებისას.

გაზეთი მოგვითხრობს შემდეგ, ქალმა რა და რა საქმეში მოიპოვა ადგილი. დღეს ამერიკაში თითქმის ყველა პროფესიის ქალს შეჰხვდება კაცი. სხვათა შორის 250 მღვდელი-ქალიც არის იქ. არიან ქალები ხუროთ-მოძღვარნი, მემანქანენი, გემის უფროსნი და სხვანი. გემებზედ მოსამსახურეებად დიდ ხანს არ იღებდნენ ქალებს. პირველ ქალს-ზღვაოსანს, ქ ნ გოჯერს, ბევრი მეცადინეობა დასჭირდა თურმე, ვიდრე ადგილს იშოვნიდა. გამოცდის დროს ძალიან სასტიკად მოექცნენ, არ უნდოდათ მიეღოთ, მაგრამ გოჯერმა ბოლოს მაინც თავისი გაიტანა.

⁂

ჩინეთი ჯერ კიდევ არა სთვლის თავს დამარცხებულად! სახელმწიფოთა ჯარმა პეკინი აიღო, აიღო აგრეთვე მანჯურია და პეჩილიის პროვინცია, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ჩინური გაზეთები დღემდე გაიძახიან, რომ ჩვენი ჯარი იმარჯვებსო. ევროპიელნი გაკვირვებასა და განცვიფრებას ეძლევიან ამ გაზეთების კითხვის დროს.

როდესაც ჩინეთ-იაპონიის ომი გათავდა, დამარცხებულმა ჩინეთმა გამარჯვებულ იაპონიის კუნძული ფორმოზა დაუთმო, მთავრობამა და გა-

ბულს სწავლას. მაგრამ იმედი მომავლისა გაუცრუვდა და ამხანაგთა და მახლობელთა გულ-საკლავად გაგვშორდა. მიიცვალა, მაგრამ, დარწმუნებულნი ვართ, რომ საყვარელ კოტეს ხსოვნა ამხანაგთა და მეგობართა შორის უკვდავი იქმნება.

◆

დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. წილკანი. (დუშეთის მაზრა). თითქმის საქართველოს ყოველ სოფლიდგან იწერებიან რასმე ავსა თუ კარგს, მაგრამ სოფელ წილკნის ავკარგის შესახებ-კი არა ისმის რა, თითქოს აქ ყველა და ყოველივე კმაყოფილი და თავისს წესზედ იყოს, თუმცა არც ისე დაკარგული და მიუდგომელია, როგორც, მაგ., სვანეთი, ხევსურეთი და სხვა. ჩვენში-კი დარჩეს, მაგრამ ყველა სოფელს აშორის ის, რაც წილკანში ამბავია. რომელი ერთიდგან დაიწყოს კაცმა, რომ ყოველივემ გული არ დასწყვიტოს ადამიანსა: შეხვალთ თუ არა სოფელში, თქვენს ყურადღებას პირველად მიიპყრობს უსუფთაობა; გზებში და ორღობეებში ყველაფერს შეხვდებით: მკვდარს ძაღლებს, კატებს და სხვა უწმინდურებას, მაგრამ იმისთვის თავს არავინ იტკიებს. სოფლის მოხელეთ რომ როგორმე მიუთითოთ და ამხილოთ, თქვენი მოვალეობაა, რატომ რაიმე ღონისძიებას არ იხმართო,—მოცლილი ხომ არა ხართო, გეტყვით. ქურდობა, ავაზაკობა, თავების ტეხვა და სხვა ამისთანაები, ხომ აქ ჩვეულებრივი მოვლენაა. ისე არიან მიჩვეულები, რომ ყურადღებასაც-კი აღარ აქცევენ, თითქოს ეს ჩვეულებრივი და საჭირო რამ მოვლენა იყოს; პირ იქით ამით ამაყობენ კიდეც. ჩემის აზრით, ეს იმითი აიხსნება, რომ სოფლის მოხელენი ერთობ სუსტნი არიან და აქაურებიც ამ სისუსტით სარგებლობენ. ან-კი რა უნდა ქნას აქაურმა მოხელემ? დასჯის, ან დასასჯელად მაზრის უფროსს წარუდგენს, ვაი იმისი ბრალი, დაემუქრებიან: ცემით მოგკლავ და ცოლ-შვილს დაგიწიოკებთ და მოხელეც სდუმს...

ს. წილკანში მშვენიერი ეკკლესიაა, მაგრამ როცა იქ წირვა-ლოცვა და ღვთის მსახურება სრულდება, ხალხი გარეთ, ან დუქნის წინა სდგას და, ვინ იცის რას არ ჭორაობენ როგორც დედაკაცები, ისე კაცები. ეკკლესიაში შესვლისა და ლოცვის მაგივრად მოისმის მხოლოდ ლანძღვის და გინების ხმა და ერთი კაი-ვაგლახი, მაგრამ ამასაც გულ-შემატკივარი და თვალ ყურის მიმპყრობი არავინა ჰყავს.

უწინ და ახლაც თავად-აზნაურობა მოწინავე ხალხათ იწოდება; იმათგან იღებდნენ და იღებენ მაგალითს გლეხები ახლაც, მაგრამ ზოგიერთ აქაურ კეთილშობილის მაგალითს, ღმერთმა დაიფაროს, სხვა გონიერმა კეთილშობილმა ან გლეხმა არ წაჰბაძოს! წარმოიდგინეთ, ქალების სწავლა და შრომაც-კი საძრახისათ მიაჩნიათ. როგორ შეიძლება, მაგალითად, აქაურმა კეთილშობილის ქალმა ძროხა მოსწველოს, ან-და პური გამოაცხოს? სხედან ასე გულხელ დაკრეფილნი, სანამ არავის იშოვნიან და ერთიორად მეტი ფასის მიცემით არ გამოაცხობინებენ. ამ ბოლოს დროს ამათ გლეხის ქალებიც ბევრნი ჰბაძავენ და ეს ხდება მაშინ, როცა ქვეყანა ძირიანად შეირყა, უწინდელი ყველაფერი თითქმის გამოიცვალა და ბალღიც-კი მიჰხვდა, რომ უშრომელად არც ცხოვრება შეიძლება და არც სიცოცხლე. რაც შეეხება სწავლა-განათლებას, ამ მხრივ ხომ სულ დაქვეითებულია წილკანი: ცოტა ოდნად წერა-კითხვის მცოდნესა და მცირედად ინტელიგენტს, ორიოდ-სამის გარდა, ძვირად შეჰხვდებით. აქამდის უბრალო წერა-კითხვის სკოლაც არ იყო; ეს მეორე თუ მესამე წელიწადია დაარსდა, მაგრამ ისიც ვერაფერს ნუგეშს იძლევა, რადგანაც მოსწავლეთა რიცხვიც მეტად მცირეა და მასწავლებელიც მხოლოდ სასოფლო სკოლაში სწავლა-დამთავრებული. საზოგადოდ აქაურ გლეხს სწავლა მეტ ბარგად მიაჩნია.

ციცინათელა

◆

რუსეთი

როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შემდგარა საგანგებო კომისსია, რომელსაც 1897 წლ. მომხდარ საყოველთაო აღწერის შესახებ სამუშაოთა დასრულება აქვს მინდობილი. ამ სამუშაოთათვის საზოგადოდ გადადებულია 3 მილიონი მან, მაგრამ, რადგანაც ამ ჟამად სახელმწიფო ხაზინა ცოტა გაჭირვებულ მდგომარეობაშია, მომავალის წლისათვის ამ თანხიდგან მხოლოდ 300,000 მან. მიეცემათ

— როგორც „Русск. Вѣд.“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რუსეთის ცნობილ ბატანიკოსის დამსახურებულის პროფესსორის ა. ს. ფამინცინის 40 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის იუბილე 14 ოქტომბერს უდღესასწაულნიათ.

— როგორც „Сѣверн. Курьеръ“-ს გაუგონია, მოძრავ ქონების წვრილ-წვრილად ფულის შეტანით გაყიდვის შესახებ განსაკუთრებულ წესების პროექტს, რომელიც ფინანსთა მინისტრს წარუდგენია სახელმწიფო საბჭოში, ამ შემოდგომაზედ თურმე განიხილვენ.

— უწმ. სინოდს დაუდგენია განემარტოს სასულიერო სემინარიების გამგეობათ, რომ არ შეიძლება სხვა წოდებათა შესახებ დადგენილი 10°/o შეზღუდვა სასულიერო სასწავლებელში შემსვლელთათვის სემინარიებისთვისაც სავალდებულოდ იქმნეს მიღებული. სემინარიაში შემსვლელთ არა სასულიერო წოდებიდგან უთუოდ მოეთხოვებათ, რომ სასულიერო სემინარიაში შესასვლელად კარგად იყვნენ მომზადებულნი და მისწრაფებაც ჰქონდეთ სასულიერო უწყებაში სამსახურისადმი. თუ რომ სემინარიაში შემსვლელთა რაოდენობა არა სასულიერო წოდებიდგან 10°/o აღემატება, მაშინ მოწაფეთა მიღება ეპარქიის უფროსზედ არის დამოკიდებული და სემინარიის გამგეობამ ამის შესახებ მის წინაშე უნდა იშუამდგომლოს.

— ჩვენ გვქონდა მოხსენებული ცნობილის ბელეტრისტის ა. გ. შედერის (მოხალისის) ავადმყოფობის ამბავი. აქაურმა გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, რომ ვითომ კიდეც გარდაცვლილიყოს. ახლა როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გვატყობინებენ, ა. გ. შედერს პირიქით უკეთესობა ეტყობა თურმე.

— VIII პიროგოვის მკურნალთა კრება მოხდება 3—10 იანვარს 1902 წ. მოსკოვში.

— პეტერბურგისა და კავკასიის მაჰმადიანთა მეცნიერთ გადაუწყვეტიათ ყორანის გამოცემა შესწორებულის შინაარსით და პეტერბურგის საჯარო წიგნთ-საცავისათვის უთხოვნიათ ნებართვა ფოტოგრაფიულად გადაიღონ დიდის ყორანის ფურცლები, რომელიც ინახება წიგნთ-საცავის ხელ-ნაწერთა შორის და აღმოსავლეთის პალეოგრაფიულ სიძველეთა შორის დიდად იშვიათი ეგზემპლიარია. ეს ყორანი მოუტანია პეტერბურგში გენერალს კაუფმანს სამარკანდის დაპყრობის შემდეგ.

◆

სასამართლოს მატიანე

10 წლის ქალის ნატალია მიხელიძის ტანჯვა-წვალება.

პარასკევს, 20 ოქტომბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის დ. ჩხარის ბოქაულის ნადვორნი სოვეტნიკის ბ-ნ ყურულის მეუღლის ელისაბედ გრიგოლის ასულის ყურულისა, რომელსაც ბრალად ედებოდა თვისი მოსამსახურის ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის სოფელ ხრეითის მცხოვრების ელისე მიხელიძის 10 წლის ქალის ნატალიას ტანჯვა-წვალება. ამ საქმის გარემოება შემდეგია: 1898 წლის 9 თებერვალს პოლიციის მესამე ნაწილის ბოქაულთან მისულა ნატალია მიხელიძე და განუცხადებია, რომ მას უწყალოდ სცემს და აწვალებს ელისაბედ ყურული; ნატალიას თავი ორგან ჰქონია გატეხილი და სახე დალურჯებული. საქმე გამომძიებლისათვის გადაუციათ. გამოძიებას გამოურკვევია, რომ ელისაბედ ყურულისა მსახურს ნატალია მიხელიძეს ისეთს საქმეებს აკეთებინებდა, რასაც იგი სრულებით ვერ შესძლებდა: მაგალ. აგვევინებდა ეზოსა და სახლს, ჰგზავნიდა ბაზარში, არეცხინებდა სარეცხს, ჭურჭელს და როდესაც მოქანცული პატარა ქალი სხვიმალს საქმეებს ვერ გასწვდებოდა, ყურულისა მივარდებოდა თურმე გაავთრებული და შეუბრალებლად სცემდა ბავშვს: ხელსა სტაცებდა ხოლმე ბავშვს თმაში და იქამდის ათრევდა იატაკზე, ვიდრე ხელში ბღუჯად თმა არ შერჩებოდა, მივარდებოდა კბილით ლოყაზედ და ხორცს ამოაგლეჯდა თურმე, რაც მოხვდებოდა ხელში, გამეტებულად დაუშენდა ხოლმე ბავშვს. გამომძიებელთან მოწმეს გრიგოლ ჩიკვილაძეს, სხვათა შორის, უჩვენებია, რომ გულმოსულობის დროს ელ. ყურულისამ გახურებული უთო დაადო თავზედ ნატალიასსაო, ჩაამწყვდევდა ნოტიო სარდაფში და მხოლოდ დიდის ხნის შემდეგ შიმშილით მოქანცულ მოთენთილ ბავშვს გამოუშვებდა კარშიო; მოწმემ კოროლინა პ. ასულმა კოვალიმ სასამართლოშიაც გაიმეორა თავისი ჩვენება: მე არა მჯეროდა ბავშვის ნატალიას ნალაპარაკევი, ვიდრე ჩემის თვალით არ დავინახე, რომ გაავთრებული ყურული მივარდა ნატალია მიხელიძეს და ორივე თითით ისე მაგრა გაუწია პირის კიდეები, რომ შუაზე გაუხიაო. ამ დღეს ოლქის სასამართლომ ჩვენება ჩამოართვა სულ 10 მოწმეს, რომელთაგან სამი-ოთხის გარ-

---

ზეთებმა გამოაცხადეს: იაპონიაში დიდი შიმშილობა გაჩნდა, ხალხი გაჭირვებაში ჩავარდა და იმპერატორს აუჯანყდაო. ყოვლად-მოწყალე იმპერატორმა შეიბრალა დამშეული იაპონელნი და ბრძანა, კუნძული ფორმოზა გადაეცათ იმათთვისაო. ხალხს დღესაცა სჯერა თურმე, რომ იმპერატორმა თავისს ნებით დაუთმო კუნძული იაპონელებს.

გაზეთები და მოხელენი ეხლაც ასეთის ტყუილებით სცდილობენ სიმართლის დამალვას და ხალხის თვალის ახვევას. ტაკუს აღებისას ამ გაზეთებმა გამოაცხადეს, ჩვენმა ფლოტმა სრულიად გაანადგურა ევროპიელთა ფლოტი, ორი გემი ძლივს გადაურჩა ჩვენ მამაც მეომრებსაო. ასეთსავე ამბებს ავრცელებენ ტიანძინსა და პეკინში მომხდარ ბრძოლათა შესახებ. ყველგან ამ გაზეთების სიტყვით ჩინელები იმარჯვებენ. გაზეთების ტყუილებმა იქამდის მიაღწიეს, რომ იმპერატორისა და იმპერატრიცას პეკინიდგან გაქცევასაც-კი სულ სხვა აზრი მისცეს: გასასეირნებლად წავიდნენ პეკინიდგანაო.

გაზეთებს არც სურათები აკლებენ. თითქმის ყოველს სოფელსა და ქალაქში შეჰხვდებით მრავლად სურათებს. ასეთ სურათებზედ დახატულია ვითომდა ომის ამბები: ყველა სურათზედ ევროპიელნი სამარცხვინოდ გარბიან, ჩინელები-კი უკან მისდევენ გაქცეულთ და უწყალოდ ჟლეტენ. ძალიან უყვართ ჩინელებს გენერალი ტუნფუძიანი სურათები ამ გენერლის „გამარჯვებითაა“ აჭრელებული.

საზოგადოდ ჩინეთში კაცი ბევრ უცნაურსა და გასაკვირველ რასმეს შეჰხვდება. აი თუნდა საზოგადოებანი. რა გვარი და რა ნაირი საზოგადოება გნებავთ, ჩინეთში არ არსებობდეს. არსებობს იქ, მაგალითად, „უპატრონოდ დატოვებულ ძვალთა მომვლელი საზოგადოება“. ამ საზოგადოების წევრნი ჰკრეფენ უპატრონოდ დატოვებულ მიცვალებულთა ძვლებს და ასაფლავებენ. საზოგადოება ქრისტეს დაბადებამდე 1100 წლის წინად იქმნა დაარსებული. წევრნი წელიწადში ერთხელ სასაფლაოზედაც მიდიან ნიჩბებით, ბარებით და თოხებით შეიარაღებულნი და საფლავებს უვლიან, სწმენდავენ და ასუფთავებენ.

არსებობს აგრეთვე მეორე საზოგადოებაც, რომელიც წყალში დამხრჩვალთა გვამებს ასაფლავებს. ეს საზოგადოება ქრისტეს დაბადებამდე იქმნა დაარსებული. უწინდელ დროში ამ საზოგადოების წევრნი თავგამოდებით მუშაობდნენ, დაეძებდნენ დამხრჩვალთა გვამებს, კუბოებს იძენდნენ და ასაფლავებდნენ. ეხლანდელნი წევრნი-კი უფრო ფულსა ჰკრებენ დამხრჩვალთა დასასაფლავებლად და ამ ფულს თავიანთ სასარგებლოდ ხმარობენ.

შემდეგ „ცეცხლის მქრობელთა საზოგადოება“ არსებობს. უწინ მეტად დიდი სარგებლობა მოჰქონდა მცხოვრებთათვის ამ საზოგადოებას: თუ სადმე სახლს ცეცხლი გაუჩნდებოდა, წევრნი უსასყიდლოდ სცდილობდნენ ჩაქრობას და სოფლის გადარჩენას. ეხლა ეს საზოგადოება დაეცა. წევრებად უმეტეს ნაწილად ყაჩაღები და ავაზაკები არიან: ცეცხლის ჩაქრობის ნაცვლად, არეულობის დროს ისინი სახლებსა სძარცვავენ და სარჩო-საბადებელს იტაცებენ.

ერთად-ერთი საზოგადოებაა ჩინეთში, რომელსაც ხალხი ზიზღითა და სიძულილით არ უყურებს. უცნაური სახელი ჰქვიან ამ საზოგადოებას — „ვირთა საზოგადოება“. წევრნი საწყობებიდგან მარილს იტაცებენ და იაფად ჰყიდიან სოფლებში. მარილით ვაჭრობა დღეს ჩინეთში მთავრობის მონოპოლიას შეადგენს. სოფლებსა და ქალაქებში მთავრობას განსაკუთრებული მარილის საწყობები აქვს. მთავრობა სარგებლობს ამ მონოპოლიით და მარილს მეტად ძვირათა ჰყიდის. ზემოხსენებულ საზოგადოების წევრნი თავს ესხმიან ასეთ საწყობს, მარილით სტვირთვენ ვირებს და შემდეგ ხალხში ერთი ათად იაფადა ჰყიდიან მოტაცებულ საქონელს. თვით მოხელენი უმეტეს ნაწილად არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ ხოლმე მტაცებლებს.

⁂

მაგრამ ყველაზედ უცნაური ჩინეთში „მთხოვართა საზოგადოებანია“. მათხოვრობა ჩინეთში საზოგადოდ ძალიან არის გავრცელებული. პეკინის მცხოვრებთა მეექვსედს, მაგალითად, მათხოვრები შეადგენენ. მათ თავიანთი უფროსიცა ჰყავთ — „მათხოვრის მთავარი“. ამ მთავარს დიდი უფლებანი აქვს: სიკვდილით დასჯაც-კი შეუძლიან დანარჩენ წევრებისა. თვითოეულ უბანში მათხოვართა განსაზღვრული რიცხვია, სხვას იქ არ შეუძლიან შესვლა. სალამოთი წევრები მოკრებილ ფულს თავიანთ „მეფეს“ წარუდგენენ ხოლმე. ვაი იმას, ვინც დაჰმალავს რასმე. განსაკუთრებული ზედამხედველნი თვალ ყურს ადევნებენ მათხოვრებს და ყველაფერს ატყობინებენ „მეფეს“. ბევრჯელ ამ „მეფეს“ სიკვდილით დაუსჯია ისეთი წევრი, რომელსაც მოკრებილი ფული დაუმალავს.

ძნელი წარმოსადგენია ჩინელ მათხოვარაზედ მომაბეზრებელი რამ. თუ ჩინელი მათხოვარა რომელიმე სახლს მიადგა, მანამ არ წავა, სანამ არაფერს გამოუტანენ: მთელი ექვსი-შვიდი საათი იდგება კარებთან, რა-ნაირი ამინდიც უნდა იყოს.

ბევრ სახლის პატრონს პეკინში გადასახადიც აქვს გაწერილი მთხოვართა სასარგებლოდ. ვინც ასეთ გადასახადს არ გაიღებს, იმას უეჭველად რამე უბედურება ეწევა: ან სახლს ცეცხლი წაეკიდება, ან კიდევ იმის კარის წინ რომელიმე მთხოვარა თავს ჩამოიღრჩობს. ვაჭრებიც წინ-და-წინვე სცდილობენ მთხოვართა დაკმაყოფილებას. ხშირად ვაჭარს „მთავრობისაგან“ განსაკუთრებული მოწმობა ეძლევა ბეჭედდასმული და ხელმოწერილი. ამ მოწმობაში ნათქვამია, რომ ვაჭარმა თავისი ხვედრი ფული გადაიხადა მთხოვართა სასარგებლოდაო. მაღაზიაში ასეთი მოწმობა საპატიო ადგილზედ ჰკიდია ხოლმე. სადაც მოწმობაა, იქ მთხოვარა ველარ გაჰბედავს შესვლას.

თვით მთავრობა ვერაფერსა ჰბედავს მთხოვართა წინააღმდეგ. არეულობის დროს მთავრობა ყოველთვის სცდილობს „მთხოვართა მეფის“ მოსყიდვას. ხშირად ფორმალურ პირობასაც კი დასდებენ ხოლმე ჩინეთის მთავრობა და „მათხოვართა მეფე“. ისეთი მაგალითებიც ყოფილა, რომ მეფეს „ქვეშევრდომნი“ აჯანყებიან. 1860 წელს, მაგალითად, მთხოვარებმა თავიანთი მეფე მოჰკლეს, რადგანაც მათ არ მოეწონათ მეფესა და მთავრობის შორის დადებული ხელ-შეკრულობა.

ი. ა—ძე

და თავისის ჩვენებით დაამოწმეს ნატალია მიხეილიძის უწყალოდ ტანჯვა. თვით ნატალია მიხეილიძემ ყველა თავისს პირველს ჩვენებაზედ უარი განაცხადა; მე სხვებმა შემაცდინეს ისე მეჩვენებინა გამომძიებლისათვის, თორემ არავის არ ვუწვალებივართ. ბრალდებულმა ელისაბედ ჟურულმა თავი დამნაშავედ არ აღიარა და განაცხადა, რომ მას არავითარი იმგვარი ტანჯვა ბავშვისათვის არ მიუყენებია, ხოლო თუ-კი ხანდის ხან ბავშვს გაალახავდა ხოლმე, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ბავშვს ყოველივე შეცდომა გაესწორებინა, ესწავლა, რომ შემდეგ კარგი ქალი გამოსულიყოო.

ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ელისაბედ ჟურული და გარდაუწყვიტა ყოველისავე უფლება უპირატესობის ჩამორთმევა და ტობოლის გუბერნიაში საუკუნოდ გარდასახლება. ჟურულის თავმდებობით იქმნა განთავისუფლებული.

◆◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ოქტომბერი.

სოფია. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ბოლგარიის მთავრის მოკვლა ასე განუზრახავთ: ლიანდაგზედ, რომელზედაც მთავრის მატარებელს უნდა გაევლო, თოფის პატრონა დაედოთ. მატარებლის გავლის დროს პატრონა აფეთქდა.

ბარსელონა. ქალაქიდგან მრავალი კაცი სადღაც გაჰქრა. აქ იმ აზრისანი არიან, რომ ყველა ესენი კარლისტების ვუნდს შეუერთდნენ.

ტიანძინი. ჩრდილო ჩინეთის რკინის გზის ლიანდაგის მიდამოებში რუსთა ხელმძღვანელობით რკინის გზისათვის საჭირო მასალას ამზადებენ. ტანჯანსა და ტონკუს შუა რკინის გზის ლიანდაგი 45 კილომეტრის მანძილზედ მთლად დანგრეულია. როგორც ინგლისელი ინჟინრები იუწყებიან, შანხაი-გუანსა და ნიუჩუანს შუა შესაძლებელი თურმე მცირე საქონლის მატარებლებმა იარონ.

ვაშინგტონი. იმ ნოტას შესახებ, რომელშიაც ჩინეთის საქმეთა გამო ინგლის-გერმანელთა შეთანხმების შესახებ ცნობა გაეგზავნა ამერიკას, დღეს იქმნა ამერიკის პასუხი გამოქვეყნებული. პასუხში ნათქვამია, რომ 16 ოქტომბერს გარეშე საქმეთა მინისტრმა გეიმ ინგლისის ელჩსა და გერმანიის რწმუნებულს საპასუხო ნოტა გაუგზავნა, რომლითაც აუწყა ჯერ ერთი ის, რომ მათი ნოტა მიიღო და მერე მოჰყავს შეთანხმების პირველი მუხლის შინაარსი და აღნიშნავს, რომ ამ მუხლში მოხსენებულს პრინციპებს ამერიკა სავსებით უერთდება, რაიცა უკვე ადრევე აგრძნობინა თავისის მოქმედებით. ამერიკის მთავრობამ შარშანვე მიჰმართა წინადადებით ჩინეთის საქმეებში დაინტერესებულს სახელმწიფოებს, რომ ჩინეთთან ვაჭრობის საქმეში თანასწორ უფლებათა შესახებ თავისი აზრი და შეხედულებანი გამოეთქვათ და ყველა სახელმწიფოთაგან მისის შეხედულების შესაბამი დამაკმაყოფილებელი განმარტება მიიღო. 20 ივნისს შეერთებულ შტატების მთავრობამ ერთხელ კიდევ გამოაქვეყნა თავისი პოლიტიკა იმის შესახებ, რომ ჩინეთთან ვაჭრობაში ყველასათვის ერთნაირი უფლებანი იყოს დაცული და ჩინეთის იმპერია გაუყოფელი და ხელ-შეუხებელი დარჩეს და სიამოვნებით შეეგება, როცა გაიგო, რომ დანარჩენნი სახელმწიფონიც ყველანი ამ აზრისანი არიან. ამის შემდეგ ყველა დაინტერესებულნი ერნი ერთ სულადა და ერთ გულად იქცეოდნენ ამ საქმის შესახებ და მცირე აზრთა სხვა-და-სხვაობამ იჩინა თავი მხოლოდ წვრიმალებში, თუ რა გზითა და რა საშუალებით უნდა მიეღწიათ ამ აზრისათვის. შემდეგ განაგრძობს გეი: „ამისათვის განსაკუთრებულის სიამოვნებით მავალებს პრეზიდენტი გაუწყოთ თქვენ, რომ, რაც აღნიშნულ პრინციპების ორს მუხლს შეეხება, ამერიკის მთავრობა ბრიტანიისა და გერმანიის მთავრობათ სრულიად ეთანხმება". ხოლო რაც შეეხება მესამე მუხლს,—დასძენს გეი, რომელიც ორს სახელმწიფოს შუა შეკრულ პირობისა და შეთანხმების აღმნიშვნელია, ამის შესახებ შეერთებულ შტატების მთავრობას უფლება არა აქვს თავისი აზრი გამოსთქვასო.

კრონშტადტი. ჟენევის მახლობლად ბურების რაზმმა ინგლისელთა მოწინავე ჯარი მოიმწყვდია და 90 კაცი ტყვეთ წაიყვანა. ბურები კაპშტადტის საფოსტო მატარებელს თავს დაესხნენ, გაძარცვეს და დასწვეს. ჟენევიდგან მოსულმა საბრძოლად შეიარაღებულმა მატარებელმა ბურები გაჰფანტა და 12 ამათგანი ტყვედ წაიყვანა. ინგლისელი ტყვეები გაანთავისუფლეს.

20 ოქტომბერი

ლონდონი. რობერტსი დეპეშით იუწყება იოჰანესბურგიდგან: „მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა დაიჭირეს ბეთლემი და დაამარცხეს ბურები ბეთლეემიდგან სამის მილის მანძილზე, მაგარს პოზიციაზედ, გრენადეთთა ნახევარ პატალიონმა, რომელსაც ძლიერს პოზიციაზედ, მტერი მედგრად იდგა, მაგრამ, არტილერიის უქონლობის გამო, მალე იქმნა უკუ გდებული. ინგლისელებს სამი მოუკლეს და 17 დაუჭრეს".

პეკინი. ჰფიქრობენ, რომ გზა პეკინამდე ამ ზამთარს უთუოდ ბევრს გააწვალებს მოკავშირეთ; ჰშიშობენ რომ რკინის გზის შეკეთებას ვერ დაამთავრებენ მდ. პეიხოს გაყინებამდე, როდესაც სურსათის მიტანა მდინარით შეუძლებელი გახდება. შანჰაი გუანიდგან ტანფანამდე ლიანდაგი შეკეთებულია; ტანფანსა და პეკინს შუა, 23 მილის მანძილზედ, რკინის გზის ლიანდაგი სრულიად დაქცეულია; რუსები ზრუნავენ ამ ლიანდაგის შეკეთებისათვის; ინგლისელები აკეთებენ გზას პეკინსა და ხუან-ძუანის შუა, 18 მილის მანძილზედ, იაპონელები შეუდგნენ მუშაობას ხუანძუნთან, რათა ნემცებს შეჰხვდნენ, რომელნიც მუშაობას ანძუნიდგან შეუდგნენ.

ბერლინი. „Nord. Zeit"-ი იუწყება ზოგიერთ გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმის წინააღმდეგ, რომ 3 ოქტომბერს ინგლისს გერმანიის შორის გაგზავნილ ნოტების დასამატებლად მოხდა შეთანხმება ზოგიერთ არ გამოქვეყნებულ მუხლების შესახებ,—სახელდობრ: „ჩვენ მინდობილი გვაქვს განვაცხადოთ, რომ 7 ოქტომბერს ერთსა და იმავე დროს ბერლინსა და ლონდონში გამოქვეყნებულ ნოტის გარდა არავითარი სხვა ხელ-შეკრულობა არ იქმნა დადებული. ის გაზეთები, რომელთაც სხვა ხმა გაავრცელეს, თავიანთმა კორესპონდენტებმა შეიყვანეს შეცდომაში".

ლონდონი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ ახალი კაბინეტი შესდგა: სოლისბიური—მინისტრ პრეზიდენტია, რიტჩი—შინაგან საქმეთა მინისტრი, ლანსდოუნი—გარეშე საქმეთა მინისტრი, ბროდრიკი—სამხედრო, სელბორნი—ზღვათა მინისტრი.

◆◆

ანგარიში

სოფელ ხოვლის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი 1899 წ. 1 იანვრიდგან 1900 წ. 1 იანვრამდის.

1899 წელს სამკითხველოს ხელის მომწერი ჰყავდა სულ 190 კაცი და ქალი, აქედგან: კაცი იყო 77, ქალი 113. დიდრონი (17 წლიდამ)—56, მოზარდი (9—17 წლამდინ)—134. სოფ. ხოვლეში სკოლაში სწავლა-დამთავრებული—49, ამ სკოლის მოსწავლე—75, გლეხნი, რომელთაც სკოლაში არ უსწავლიათ—23, თავად-აზნაურნი და სამღვდელონი—53. საანგარიშო წელს გაიტანეს სულ 2819 წიგნი: იანვარში—184, თებერვალში - 301, მარტში—258, აპრილში—395, მაისში—336, ივნისში—344, ივლისში—283, აგვისტოში—131, სექტემბერში—58, ოქტომბერში—54, ნოემბერში—225, დეკემბერში—220, სულ 2819. ქართული წიგნი არის გატანილი—2575 ცალი, რუსული—243. სამკითხველოში ყოველ-დღიურ მოსიარულეთა რიცხვი საანგარიშო წელს იყო 2197.

დრო-გამოშვებითი გამოცემანი სამკითხველოს მოსდიოდა: „Вѣстникъ Иностранной литературы", „Нива", „Вѣстникъ воспитанія", „კრებული", „კვალი", „ჯეჯილი". გაზეთები: „Биржевыя вѣдомости", „Кавказъ", „Новое Обозрѣніе", „ივერია" და „ცნობის ფურცელი".

საანგარიშო წელს მიემატნენ წევრნი: ქ-ნი ნინა გიორგის ასული მაჭავარიანისა, თ. ივანე გრიგოლის ძე ჯავახიშვილი, ბ-ნი ივანე ნიჟარაძე და ბ-ნი ვასილ ივანეს ძე ხახიშვილი.

სახლი უსასყიდლოდ დათმობილი ჰქონდა სამკითხველოს ამ წელსაც კნ. მარიამ იოსების ასულის ჯავახიშვილისაგან. შეშას და ნავთს ახმარებდნენ, რაც საჭირო იყო, კნ. მ. ი. ჯავახიშვილისა და გრიგოლ ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი. განაგებდა სამკითხველოს გამგეობის წევრი ზაქარია გიორგის ძე ჯავახიშვილი უსასყიდლოდ. უსასყიდლოდ დაუთმო სამკითხველოს თავისი გამოცემა „კავკაზის" რედაქციამ, ფოსტის ხარჯის გარდა, უსასყიდლოდვე დაუთმო „ნოვოე ობოზრენიე"-ს რედაქციამ; თავისი ყოველ თვიური გამოცემა „ვესტნიკ ვოსპიტანია"-ს რედაქციამ ნახევარ ფასად დაუთმო, ხოლო დაკლებულ ფასად „კრებულის" რედაქციამ. თ. ქაიხოსრო გიორგის ძე ჯავახიშვილმა გამოუწერა სამკითხველოს „ბირჟევია ვედომოსტი", ზაქარია გიორგის ძე თ. ჯავახიშვილმა—„ცნობის ფურცელი", გრიგოლ ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილმა—„ივერია".

ფულად შემოსწირეს: თ. გიორგი დავითის ძე ერისთავმა 3 მან., თ. დიმიტრი დავითის ძე ციციშვილმა 3 მ., სოფიო ივანეს ასულმა რატიშვილისამ 2 მან., მიწათ მზომელმა (ზემლემერმა) გეურქოვმა 2 მან., მარიამ ვლადიმერის ასულმა აკინფიევისამ 1 მ., სულ 11 მან. მღ. ლონგინ კავსაძემ 13 წიგნაკი საღმრთო შინაარსისა. სემინარიის მოსწავლემ ივანე დეკანოზიშვილმა—Прилож. Родины 30, თ. ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილმა რუსული წიგნი რუბაკინისა—Этюды о русской читающей публикѣ, ბ-ნმა ქრისტეფორე ლვინიაშვილმა სასწავლო წიგნი, იოსებ იმედაშვილმა მოწაფის გიგიენა 4 ცალი და მეცნიერებისათვის წამებულნი 1 წიგ., სემინარიის მოსწავლემ ცარიკოვსკიმ „Нива" 1899 წლ.

რედაქციებს და ყველა კერძო პირთ, ვინც-კი დახმარება აღმოუჩინეს სამკითხველოს, გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის და იმედოვნებს, რომ შემდეგშიაც არ დასტოვებენ სამკითხველოს უყურადღებოდ.

საანგარიშო წელს შემოსავალი იყო: 1, საწევრო გარდასახადი 20 მ. 30 კ., 2, შემოწირულობა ფულად 11 მ., 3, სხ.-და-სხ. შემოსავალი (წარმოდგენისა) 29 მ. სულ 60 მ 30 კ. 1998 წლის დარჩომილი ნაღდი იყო 77 მ. 35 კ სულ 137 მ. 65 კ.

ხარჯი: 1, წიგნების ყიდვა 4 მ. 45 კ., 2, ჟურნალ-გაზეთების დაკვეთა 34 მ., 3, წიგნების დაკაზმვა 12 მ. 68 კ., 4, სხვა-და-სხვა ხარჯი 8 მ. 40 კ., 5, პუშკინის საიუბილეოთ მისი თხზულება დარიგდა შეგირდ. 3 მ. 10 კ. სულ 62 მ. 63 კ.

ნაღდი დარჩა 1900 წლისათვის 75 მ. 2 კ. სამკითხველოში იყო საანგარიშო წლის გასულს ქართული წიგნი 409 ცალი, რუსული 338 ცალი.

გამგეობის თავმჯდომარე მ. ჯავახიშვილისა.

გამგეობის წევრნი ქ. ჯავახიშვილი
შაქრო ჯავახიშვილი

სარევიზიო კომისიის წევრნი: კნ. ს. ა. ჯავახიშვილისა, კნ. მ. გ. ერისთავისა

◆◆

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

24 ოქტომბერს:

ირაკლი მგელაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-165 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

დავით მესხისა, რომელსაც მკვლელობის განზრახვის ჩადენის ბრალი ედება.

◆◆

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ალექსანდრეს ბაღის ახლო ქალაქის საკუთარ დუქნების იჯარით გასაცემად

საჯარო ვაჭრობა

დანიშნულია ამ ოქტომბრის 28-ს ნაშუადღევის 1 საათზედ. ამ საქმის შესახებ ყველა პირობანი მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ ქალაქის გამგეობას მე 4 განყოფილებაში ყოველ დღე დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—6—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ.
თხზულებანი ვაჟა ფშაველასი	1	„
სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა	„	5
საარაკო თავ გადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე	„	10
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპ-რისა	„	30
ამბავნი და მოთხრობანი, თარგ. გრ. ყიფშიძისა	„	15
საქართველოს ძველის დროის თავ-გადასავალი	„	40
ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძისა	„	5
შ. არაგვისპირელის თხზულებანი	„	50
სიტყვიერების თეორია	1	„
ანტონ ჰყონდიდელის ქადაგებანი	1	50
ვინ მოიგონა არაყი, ტოლსტოისა	„	5
Заслуги грузинскаго монашества Е. К.	„	30
Двѣнадцативѣковая борьба	„	50
Грузинскіе поэты Тхоржевскаго	„	30
Царица Тамара, М. Джанашвили	„	50
Исторія грузинск. церкви, его же	„	40
Грузинскія обители внѣ грузіи, его-же	„	25
Письма о грузіи, Исарлова	„	80
შოთა რუსთაველი და მისი ცოლი, ან. ფურცელაძისა	„	10
სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი	„	30
ნამდვილი სამსახური, მოთ.	„	40
Новая постановка педагог. дѣла въ учебн. завед.	„	20
Назрѣвшій вопросъ (Ко дню столѣтія присоединенія грузіи къ Россіи), Е. К.	„	20
თხზულებანი პუშკინისა	„	50
სულიკო, აკაკისა	„	10
სამი პოემა, ან. ფურცელაძისა	„	50
მეზობლები	„	5
მელის წიგნი, ანუ იგავ-არაკების კრებული, ვარდანასი	„	40

გამოვიდა და იყიდება მმ. თავართქილაძეების ახლად გამოცემული

ფასი **ჩანგი** მანეთი

ამ უკანასკნელ გამოცემაში ჩამატებულია ლექსები, სცენები და შემდეგი დრამატიული თხზულებანი: 1) „დედა და შვილი", ი. ჭავჭავაძისა; 2) „და-ძმა", ვ. გუნიასი; 3) „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწინდნენ". 4) „დაკეტილ კარებთან". 5) „ავაზაკები", შილლერისა და „შეშლილის წერილები", გოგოლიდამ.

აგრეთვე მივიღეთ ყველა ჩვენ მაღაზიებში დიდძალი ყოველგვარი

რვეულები

საუკეთესო ღირსებისა და განსხვავებული ფერის (თვალისთვის დიდად სასარგებლო) ქაღალდებზედ დახაზული და მიუხედავად ქაღალდის გაძვირებისა და მისის ღირსებისა, ჩვენ ვყიდით 100 ცალს თავისის საშრობი ქაღალდით, მხოლოდ 2 მან. 50 კაპ.

მსურველთ ნიმუშები გაეგზავნებათ უფასოდ. (10—6.—9)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე